დანართი №2

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია" **დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მეფარიშვილი თინათინი
წევრი: ნინო გორგოშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შპს**

საიდენტიფიკაციო კოდი: 245539403

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / უნივერსიტეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ - განათლების ხარისხი 2026 წლის იანვრის ბრძანების **MES 4 26 0000052374** საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 4 თებერვალს განახორციელა ავტორიზაციის ვიზიტი **შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრიში (მისამართზე - ქ. ბათუმი, დავით მამულაძის ქ. N29).**
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს.
ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საუკეთესო გამოცდილება გამოვლინდა.

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში არსებულ გარემოებებს და არგუმენტირებული პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	----ბრძანება № 15-75/25 08.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი დ. მამულაძის ქ. N29
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	144
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის — „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ — განხორციელების შესახებ ეფუძნება საფუძვლიან დასაბუთებას და სრულად შეესაბამება სასწავლებლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სასწავლებელი მრავალი წელია წარმატებით ახორციელებს საზღვაო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც განაპირობებს მის მდგრად გამოცდილებას და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას. უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის დირექტორი და რამდენიმე ადმინისტრაციის წარმომადგნელს თავად აქვთ მრავალწლიანი საზღვაო სფეროში მუშაობის გამოცდილება. დაგროვილი გამოცდილება, პროფესიული რესურსების სწორი მართვა და პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა ქმნის ეფექტიან საფუძველს ახალი პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც პასუხობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო საზღვაო სტანდარტებს. პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან როგორც თეორიული ცოდნით, ისე პრაქტიკული უნარებით გემის ტექნიკური სისტემების ექსპლუატაციისა და მართვისთვის. აღნიშნული მიზანი სრულ თანხვედრაშია სასწავლებლის მისიასთან, რომელიც ეფუძნება პროფესიული განათლებისა და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების უნიფიცირებულ სტანდარტებს. სასწავლებელი ისწრაფვის საზღვაო დარგებში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული, თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველყოფისაკენ, რითაც ხელს უწყობს როგორც ქალაქის და რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკურ განვითარებას. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის ანალიზის შედეგების, განათლების სახელმწიფო პრიორიტეტებისა და საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების გათვალისწინებით. ეს საფუძველი უზრუნველყოფს სპეციალისტთა მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ეფექტიანად ჩაერთონ როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ საზღვაო ინდუსტრიაში და განავითარონ პროფესიული კომპეტენციები უსაფრთხოებისა და ოპერაციული ეფექტიანობის მაღალი სტანდარტების შესაბამისად. სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობა: სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული განათლების უზრუნველყოფა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ელშეწყობა. პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება —

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს, ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიული უნარების განვითარებასა და რეალურ სამუშაო გარემოში გამოცდილების მიღებას პარტნიორი ორგანიზაციებისა და საწარმოების ჩართულობით. სწავლისა და სამუშაო გარემოს განვითარება: სასწავლებელი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანამედროვე ინფრასტრუქტურას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ინოვაციურ სასწავლო გარემოს, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და უსაფრთხოების მოთხოვნებს. აღნიშნული პირობები ქმნის სწავლებისა და პრაქტიკული საქმიანობის ჰარმონიულ სინთეზს, რაც განაპირობებს სწავლის პროცესის ეფექტიანობასა და ხარისხს. ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სასწავლებლის გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება გამოცდილებაზე, კვლევაზე და სტრატეგიულ ხედვაზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც სრულად შეესაბამება ინსტიტუციურ სტრატეგიასა და მისიის პრინციპებს. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი, პროფესიული განათლებისა და მეზღვაურთა წვრთნის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, განაგრძობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას, ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიულ ზრდას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და მის წარმატებულ საერთაშორისო ინტეგრაციას.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' (დამტკიცებულია 2025 წლის 8 სექტემბრის №15-75/25 ბრძანებით) დაშვების წინაპირობებია:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა;
- ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა (ფორმა №086 ან №100), რომელიც დადგენილი წესით გაცემულია შერჩეული სამედიცინო დაწესებულების მიერ.

აღნიშნული მოთხოვნა შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველთან, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და პროფესიის სტანდარტთან –,, საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია"(Ship Deck Operation)".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის დამტკიცებული დოკუმენტით – „შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის დებულების“ შესაბამისი თავებით.

აღნიშნული წესი სრულად არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, მათ შორის: პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპებს; აპლიკანტთა რეგისტრაციისა და შერჩევის წესებს; გასაუბრებაში და/ან ტესტირებაში მონაწილეობის პირობებს; აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურებს; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და მობილობის წესებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების შესახებ დოკუმენტი. აღნიშნული დასაბუთების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს, კერძოდ:

ა) A ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას;

ბ) B ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას;

გ) C ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას;

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან და უსაფრთხო განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას სასწავლო ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების შესაბამისობას და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მოთხოვნებს.

კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება A, B და C ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საფუძველზე.

A ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი აქვს 5 A გარემოსა (24 და 34 პროფესიული სტუდენტებისთვის), 3 AC გარემოს (24 პროფესიული სტუდენტისთვის) და 1 C გარემოს (24 პროფესიული სტუდენტისთვის) საკლასო ოთახებით. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამისათვის იყენებს ორ ცვლას.

B ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს კომპიუტერულ ლაბორატორიას და მოიცავს კომპიუტერებს, პრინტერს, სასწავლო მერხებს, სკამებსა და პროექტორს, რომლისთვისაც დაწესებულებას სულა აქვს 3 საკლასო ოთახი სულ 60 კომპიუტერითა და ადგილით. კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის გამოიყენება 1 B ტიპის სასწავლო გარემო.

C ტიპის სასწავლო გარემო გამოიყენება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად და აღჭურვილია მოდულებში განსაზღვრული შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალური რესურსებით. კერძოდ, დაწესებულებას აქვს უსაფრთხოების მოდულთან დაკავშირებით საჭირო ინვენტარი, რაც მოიცავს პირველადი დახმარების სამედიცინინო ოთახს თავისი აღჭურვილობით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინვენტარს, ხანძრთან ბრძოლის წვრთნებთან დაკავშირებულ აღჭურვილობებს.

დასაშვებია სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებისთვის ერთი და იმავე სასწავლო სივრცის გამოყენება, თუ ეს თავსებადია ტექნიკურ ნორმებთან და ცვლად მუშაობის რეჟიმთან (არაუმეტეს ორი ცვლისა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესი ნაწილი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხორციელდება ღია სივრცეში ან პრაქტიკის ობიექტზე, დოკუმენტით განსაზღვრულია შემდეგი:

A ტიპის სასწავლო გარემო, ორ ცვლაში დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დაკმაყოფილებას,

B ტიპის სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს წლიური 60 კრედიტიდან, რაც შეადგენს დაახლოებით 5%-იან დატვირთვას.

პროფესიულ სტუდენტთა საბოლოო ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება A და B ტიპის სასწავლო გარემოს გათვლების შედეგად მიღებულ რაოდენობათა შორის უმცირესი მაჩვენებლის საფუძველზე, ხოლო ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დამატებით გათვალისწინებულია C ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ან შესაბამისი ფართი.

მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია " იძლევა 144 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული რაოდენობა დასაბუთებულია კოლეჯის ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების ანალიზზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი (დანართი №3 – „მატერიალური რესურსი"), რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით. აღნიშნული რესურსები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ავტორიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია" გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო პირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის. დაწესებულებას გააჩნია ხანძართან ბრძოლის სიმულაციური ტრენაჟორი გემის ფორმით, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა სახანძრო სისტემით: ქაფის, წყლის, ტრენაჟორზე შესაძლებელია სიმულაციური ხანძრის ინსცენირება თავისი დაკვამლიანებით. დაწესებულებას აქვს სამედიცინო ოთახი აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, პიველადი დახმარების ინსცენირებისათვის საჭირო მულაჟითა და მანეკენით, სასუნთქი აპარატით, ნემსის გაკეთების შესწავლისთვის საჭირო მულაჟით. ასევე დაწესებულების მფლობელობაშია პირადი გადარჩენის მეთოდებისთვის საჭირო ინვენტარი, უსაფრთხოების ჯილეტი, ჰიდროკოსტიუმები, სამაშველო ტივი და კანჯო, რომელიც განთავსებულია არდაგანის ტბაზე თავისი ჩასაშვები მექანიზმებით. დაწესებულებას წყალში ხტომის პლატფორმა აქვს მოწყობილი საკუთარ გემზე და ასევე აქვს ხელშეკრულება შპს ეკვატორთან აუზის გამოყენების თაობაზე. დაწესებულებაში არსებული შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები და პრაქტიკული საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობა ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების ეფექტიან განვითარებას. რესურსების ადეკვატურობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

საგანმანათლებლო პროგრამა საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამტკიცებულია 2025 წლის 8 სექტემბრის №15-75/25 ბრძანებით, დაწესებულების უფლებამოსილი პირის – სასწავლებლის დირექტორის მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია (Ship Deck Operation)“ საფუძველზე.

პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

1.მონაწილეობა მიიღოს უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფაში;

2.მონაწილეობა მიიღოს ტვირთის დამუშავებასა და განლაგებაში;

3.იზრუნოს გემზე მყოფ ადამიანებზე;

4.დაიცვას შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები;

5. გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება;

6. გამოიყენოს ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა და განახორციელოს ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. განახორციელოს გარემოს დაბინძურების პრევენცია;

8. უზრუნველყოს გემბანის მოწყობილობებისა და მექანიზმების უსაფრთხო ექსპლუატაცია;

9. განახორციელოს ზეპირი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი
ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ (სარეგისტრაციო ნომერი 10.16.1) საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და პროგრამის მოცულობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი დოკუმენტი, მათ შორის: მოდულები, სასწავლო გეგმა, ასევე ინფორმაცია პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი მოდულები, შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, სრულად ადაპტირებულია და უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტების განხორციელებას, აგრეთვე ქართული ენის მოდულს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 2/10/2025
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ 02/10/2025 წელი
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“ 02/10/2025 წელი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს შესაბამისი სასწავლო და პრაქტიკული გარემოები:

ორი A ტიპის სასწავლო გარემო, მათ შორის:

- პირველი A გარემო გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე;
- მეორე A გარემო — 34 პროფესიულ სტუდენტზე.
- ერთი AC გარემო გათვლილი 24 პროფესიულ სტუდენტზე.

ყველა გარემო აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებითა და სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერითა და ციფრული დემონსტრირების საშუალებებით.

ორივე A ტიპის სასწავლო გარემო მხოლოდ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის გამოიყენება. აღნიშნული გარემოები თითოეული აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო ინვენტარით (სტუდენტების მაგიდები და სკამები, დაფა, მასწავლებლის სამუშაო ადგილი, ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი და ციფრული დემონსტრირების საშუალებები).

სამი B ტიპის გარემო, რომელთაგან:

- ერთი განკუთვნილია მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ სტუდენტებისთვის და აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო ინვენტარით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დანარჩენი ორი გარემო გამოიყენება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების განხორციელებისთვისაც და გათვლილია შესაბამისად 10 და 20 პროფესიულ სტუდენტზე.

ერთი AC ტიპის გარემო, გათვლილი 24 პროფესიული სტუდენტისათვის.
ერთი სამედიცინო კაბინეტი, გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც აღჭურვილი შესაბამისი სამედიცინო მულაჟებითა და მანეკენებით მასზე პრაქტიკული წვრთნების გამლისა და დემონსტრირებისათვის.

დაწესებულებას წყალში ხტომის პრაქტიკული მეცადინეობისათვის თავის კუთვნილ გემზე მოწყობილი აქვს შესაბამისი ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს აღნიშნულ წვრთნაზე საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აღიარება, რაც ადასტურებს რომ ის უსაფრთხოა წვრთნების ჩატარებისთვის. გარდა აღნიშნულისა დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება კოლეჯ „ეკვატორთან“ მის მფლობელობაში არსებული აუზის გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საცურაო აუზი, პრაქტიკული მეცადინეობისათვის, უზრუნველყოფს ერთდროულად 24 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობას.

„ხანძართან ბრძოლის პრაქტიკული წვრთნის გარემო“ (C ტიპის გარემო), რომელიც აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნული სახანძრო ტრენაჟორი წარმოადგენს გემის მოდელის ტრენაჟორს აღჭურვილი შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, როგორიცაა ქაფის სისტემა, წყლის სისტემა, გააჩნია პორტაბელური სხვადასხვა სახის ცეცხლმაქრები, ასევე კვამლისა და თავად ხანძრის იმიტაციის შესაძლებლობით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის „საზღვაო პრაქტიკის“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას თავის მფლობელობაში გააჩნია საწვრთნელი გემი “კაპიტანი ო. ჩახვაძე“ გემი რეგისტრირებულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, მასზე გაცემულია და არსებობს ვალიდური სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, სადაც აღნიშნულია რომ გემს შეუძლია მიიღოს ერთდროულად 54 პერსონა ეკიპაჟის წევრებს გარდა. გემის ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა, რომ გემი არის გამართულ მდგომარეობაში, და მასზე არის შესაბამისი სივრცე აღნიშნული რაოდენობის სტუდენტების მისაღებად. დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცხრილები საზღვაო პრაქტიკის კომპონენტის გავლისათვის. წარმოდგენილი ცხრილების მიხედვით, დაწესებულებას პრაქტიკის გატარება დაგეგმილი აქვს 4 ცვლად 24 კაციანი ჯგუფებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან: შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“. აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთი წლის განმავლობაში 50 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის გავლას თავის მფლობელობაში არსებულ 10 გემზე, რომელიც სავსებით საკმარისია.

შესაბამისად, დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას. ხუთდღიანი სასწავლო გრაფიკის ფარგლებში, ორ ცვლიან რეჟიმში, შესაძლებელი ხდება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის — 144 პროფესიული სტუდენტის — ერთდროულად მომსახურება.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია “ განხორციელებაში ჩართულია 31 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის: 18 — პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, 11 ზოგადი მოდულების, ხოლო 2 ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი.

თითოეული პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და განაწილება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან და მდგრად განხორციელებას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავს, რამდენიმე განმახორციელებელი შესაბამის/მსგავსი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, უკიდურეს შემთხვევაში მინიმუმ 2 პირი, რათა ერთერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვ. საფრთხე არ შეექმნას პროგრამის უწყვეტად განხორციელებას. ყოველი ახალი პროფესიული სტუდენტების ნაკადის მიღების შემდეგ სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახური განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვების განახლებას, ამასთანავე, მათი კვირეული საათობრივი დატვირთვის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მათ მიერ ჩასატარებელი საკონტაქტო საათები, არამედ შეფასების ინსტრუმენტების შესაქმნელად, სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებში, ვერიფიკაციის პროცესში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, სასწავლო მეთოდური მასალების დახვეწისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისათვის საჭირო დრო, იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი სწავლების მაღალი ხარისხი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ინდიკატორის 2.2.1.2 შესაბამისობაშია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პედაგოგიური პერსონალი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მოქმედ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ პროფესიული მასწავლებლების აკადემიური კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის იმ კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრულია პროგრამების სწავლის შედეგებით. აღსანიშნავია, რომ უმეტესობა მათგანს აქვს პედაგოგიური საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე ძირითადა არიან პრაქტიკოსები. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლებლის 2025 წლის 8 სექტემბერის სენატის დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მასწავლებლისა და ინსტრუქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს კანდიდატის კვალიფიკაციას, შრომით გამოცდილებას, კომპეტენციებსა და მათ შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. კერძოდ, პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დარგში სამუშაო გამოცდილებ;

პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ თითოეულ მათგანს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი სამუშაო ან პედაგოგიური გამოცდილება. ამასთან, წარმოდგენილია კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაციაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, შპს ანრის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი კალენდარული წლის დასაწყისში იკვლევს პერსონალის საჭიროებებს და გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის განვითარების ღონისძიებებს. პერსონალის განვითარების ღონისძიებების დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობები წლების მიხედვით წარმოდგენილია ტრენინგ-გეგმებით.

ინდიკატორის 2.2.1.3 შესაბამისია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

კერძოდ: სასწავლებლის დირექტორის 2026 წლის 26 ინვრის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია " ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომლის მიხედვითაც პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, მასში ცვლილებების შეტანასა და სასწავლო გეგმის შედგენაში.

სამუშაო აღწერილობით ასევე განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი დარგობრივი გამოცდილება და პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე დადასტურდა, რომ მას გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის შემუშავების პროცესში, სასწავლო გეგმის შედგენასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორის 2.2.1.4 შესაბამისია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.კერძოდ: დაწესებულების მიერ წარმოდგენილია და დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება“ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება. დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსები სრულად ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. მატერიალური რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, ხოლო ელექტრონული რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებზე და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესში.
ელექტრონული კატალოგი და სასწავლო რესურსები ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვას, რაც ადასტურებს რესურსების ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის. პროფესიული მასწავლებლების მიერ დამუშავებულია ე/წ რიდერები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტქსელთან დაკავშირებული ოთხი კომპიუტერით მკითხველებისთვის და ერთი კომპიუტერით ბიბლიოთეკარისთვის, აგრეთვე საოფისე კომბაინით (მრავალფუნქციური პრინტერი). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, რაც უზრუნველყოფს გამოყენების წესების გაგებას და მათი დაცვას.
ინდიკატორის 2.2.1.5 შესაბამისია.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: დაწესებულებას გააჩნია დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.

აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფას. ასევე, დოკუმენტი არეგულირებს სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას, ინკლუზიური განათლების დანერგვის საკითხებს, სსსმ პირების ჩარიცხვის პირობებსა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენის წესს.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შესაბამისი, სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო გარემო, რაც ქმნის ინკლუზიური განათლების ეფექტიანი განხორციელების წინაპირობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 2.2.1.6 შესაბამისია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამისთვის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ რენტაბელობის ზღვარს შეადგენს - 15 პროფესიული სტუდენტი (1ჯგუფი 25 სტუდენტი). ბიუჯეტის შესაბამისად პროგრამისთვის შემოსავლის სახეობას წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება, პროგრამის განვითარების ხარჯი (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, ტრენინგების, სტუდენტთა ღონისძიებების და სხვა ხარჯები), კომუნალური ხარჯი, პრაქტიკის განხორცილების ხარჯი, ნედლეული და მასალა, და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი.

ინდიკატორის 2.2.1.7 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; კერძოდ:** პროგრამის შეფასების მექანიზმი ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ ანალიზს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ განხორციელების პროცესში რეგულარულად მიმდინარეობს შრომის ბაზრის კვლევა და შეფასება, რათა პროგრამა შეესაბამებოდეს დარგის თანამედროვე ტენდენციებსა და აქტუალურ მოთხოვნებს. კოლეჯი მუდმივად აკვირდება ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევებს, რომლებიც ასახავს დარგის განვითარების დინამიკას, ასევე თავად ახორციელებს დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს, რის შედეგებიც გამოიყენება პროგრამის შინაარსის გადახედვისა და განვითარების პროცესში. აღნიშნული მიდგომა ზრუნველყოფს, რომ სტუდენტთა ცოდნა და უნარები სრულად პასუხობდეს შრომის ბაზრის რეალურ საჭიროებებს. პროგრამის შეფასება მოიცავს მრავალმხრივ აქტივობებს, მათ შორის: რეგულარულად გამოკითხვებს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებლების შორის; უკუკავშირის შეგროვებას და ანალიზს კითხვარებისა და ინტერვიუების ფორმით; პროგრამის შეფასებას სპეციალურად შემუშავებული ფორმების მეშვეობით. შეფასების კითხვარები განახლდება ყოველწლიურად და მოიცავს როგორც დახურულ, ისე ღია კითხვებს, რაც შესაძლებელს ხდის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინფორმაციის მიღებას, პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას და მიღწეული შედეგების ანალიზს. პროგრამის შეფასების ფორმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრებს, როგორიცაა:გამოცხადებული ადგილებისა და დარეგისტრირებული აპლიკანტების თანაფარდობა; სტუდენტთა გადინების მაჩვენებელი; დასაქმების სტატისტიკა; დამსაქმებელთა კმაყოფილება; სწავლების შედეგების მიღწევის ხარისხი. შეფასების შედეგები წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განვითარების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი ახორციელებს პროგრამის შინაარსობრივ ან ტექნიკურ ცვლილებებს, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს: დარგობრივი სტანდარტების ან სამართლებრივი მოთხოვნების ცვლილებით; ანმახორციელებელთა ინიციატივით, მათ შორის სასწავლო რესურსების, მეთოდების ან შეფასების ფორმების განახლების გზით. პროგრამის შეფასება წარმოადგენს ხარისხის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს და ხორციელდება PDCA (დაგეგმვა–განხორციელება–შემოწმება–გაუმჯობესება) ციკლის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის უწყვეტ მონიტორინგს და პროგრამის სისტემურ განვითარებას.

ინდიკატორის 2.3.1.1 შესაბამისია.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.კერძოდ:** ღნიშნული ინდიკატორის შესაბამისად, კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია სისტემატური შეფასების, მონიტორინგისა და მიღებული შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების გზით. კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც შინაგან, ისე გარე შეფასების კომპონენტებს. შეფასების პროცესი დაფუძნებულია მრავალ წყაროზე, მათ შორის: სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა უკუკავშირი; ვერიფიკაციის შედეგები; პროგრამის შიდა შეფასების ფორმები და ანგარიშები; დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებული მხარეების შეფასებები. შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: როგორ ახერხებენ სტუდენტები სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევას, რა სირთულეებს აწყდებიან და როგორ შეიძლება მათი დაძლევა; რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და შეესაბამება თუ არა არსებული რესურსები პროგრამის მიზნებსა და შინაარსს; რომელი კომპონენტები მუშაობს ეფექტურად და რომელ სფეროებშია საჭირო გაუმჯობესება; სად არის მიზანშეწონილი ცვლილებების განხორციელება ან დამატებითი რესურსების დანერგვა; რა მიმართულებით უნდა მოხდეს სწავლების მეთოდების, მიდგომებისა და მასალების განახლება; რამდენად შეესაბამება პროგრამა განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებს და რა შესაძლებლობებს ქმნის კურსდამთავრებულთათვის პროფესიული განვითარებისა და დასაქმების თვალსაზრისით. შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯი ღებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს პროგრამის გაუმჯობესებისა და მოდერნიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნით. განხორციელებული ცვლილებები ემყარება როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს, ისე შესაბამის შიდა რეგულაციებსა და დოკუმენტურ ჩარჩოს. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: ახალი სასწავლო მასალებისა და ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვა; სასწავლო პროცესის ორგანიზების მოდიფიცირება და რესურსების ოპტიმიზაცია; შეფასების სისტემის დახვეწა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება. ყველა ცვლილება ხორციელდება კოლეჯის შიდა რეგულაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების შეფასების, განვითარეისა და გაუქმების წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და სტანდარტებთან შესაბამისობას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ განვითარებას, ხარისხის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო საქმიანობის სტაბილურობას, რაც საბოლოო ჯამში აძლიერებს კოლეჯის ხარისხის მართვის კულტურასა და შედეგზე ორიენტირებულ სისტემას.

ინდიკატორის 2.3.1.2 შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
- ადმინისტრაციასთან ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ ხორციელდება დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები წარმოდგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულად განვითარებასა და სწავლების პროცესის სისტემურობას. თითოეული მოდული უკავშირდება წინამორბედსა და მომდევნო მოდულს შინაარსობრივად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის უწყვეტობასა და შედეგზე ორიენტირებულობას.პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს მოდულების თანმიმდევრობას, სასწავლო დატვირთვის განაწილებასა და სწავლების ფორმებს. დაშვების წინაპირობები დაცულია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მზადყოფნას თითოეული მოდულის ათვისებისთვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელნი არიან პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი. მათი თანამშრომლობით ხორციელდება მეცადინეობების განრიგის შედგენა, რაც ითვალისწინებს მოდულების შინაარსს, საათობრივ განაწილებას და პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს განრიგის გამართულად ფუნქციონირებასა და სწავლების პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ხელმისაწვდომია როგორც კოლეჯის ადმინისტრაციულ შენობაში, ისე ელექტრონულად — ელფოსტით ან/და შიდა ჩატებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიწოდების გზით. დამატებით, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას ველა დაინტერესებული პირისთვის. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია და უკუკავშირი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზება სრულ თანხვედრაშია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოდულურ თანმიმდევრობასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას დაგეგმილ ვადებში.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის დებულება“ განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს სწავლების პროცესის გამჭვირვალობას, სტრუქტურირებულად წარმართვასა და სტუდენტთა ინტერესების დაცვას სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე. სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებთან ატარებს საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც მათ მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია: პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ; სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ; მხარდაჭერის მექანიზმებსა და შესაძლებლობებზე; პროგრამის განხორციელების თავისებურებებსა და პრაქტიკული კომპონენტის სპეციფიკაზე. აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავს სტუდენტთა ინფორმირებულობის ამაღლებას, მათი ადაპტაციის გამარტივებას და სასწავლო პროცესში მოტივირებული ჩართულობის უზრუნველყოფას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დადგენილია შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების განათლების უწყვეტობას. კოლეჯი წარმოადგენს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრს, რაც განაპირობებს თანამშრომლობას სხვა კოლეჯებთან და იძლევა შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს შეუფერხებლად გაეგრძელოთ სწავლა შესაბამისი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ დაწესებულებაში. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ მოწოდებული უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ მხარდაჭერას ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი საკითხის ან სირთულის წარმოშობის შემთხვევაში, კოლეჯის ადმინისტრაცია მყისიერად რეაგირებს, იძლევა საჭირო კონსულტაციებს და ხელს უწყობს მათ სრულფასოვან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობას სასწავლო პროცესში. აღნიშნული მიდგომა ქმნის სტუდენტზე მორგებულ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ეფუძნება თანასწორობის, მხარდაჭერისა და თანამშრომლობის პრინციპებს და წარმოადგენს კოლეჯის ხარისხის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში დანერგილია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. სწავლების პროცესი მიმართულია პროფესიული სტუდენტისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. თითოეული მოდულის ფარგლებში შერჩეული სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას სწავლების პროცესში შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. კოლეჯის ინფრასტრუქტურა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით აუდიტორიები აღჭურვილია უახლესი სიმულატორებით, ტრენაჟორებით და სხვ. კომპიუტერები, სიმულატორები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული პაკეტებით. შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსით აღჭურვილია პრაქტიკის ობიექტები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც გადამზადებული არიან სწავლების თანამედროვე მეთოდებში. ბევრ მათგანს პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად აქვს მრავალწლიანი სწავლების გამოცდილება. დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების მაღალ ხარისხზე, ამ მიზნით პერმანენტულად იგეგმება პერსონალის გადამზადება სწავლების მეთოდებში

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის დებულება“განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიასა და პროცედურებს. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ, მოქნილ და სამართლიან სასწავლო გარემოს შექმნას. დადგენილი წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა აუცილებელია შემდეგ შემთხვევებში: ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო სტუდენტს ესაჭიროება შეცვლილი საგანმანათლებლო რეჟიმი; სტუდენტი სარგებლობს მობილობით, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოითხოვს წინა სასწავლებელში მიღებული შედეგების გათვალისწინებას და ახალი გეგმის შესაბამის ადაპტაციას; ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების ან დადასტურების შემთხვევებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ინდივიდუალური პროგრესის შენარჩუნება სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდუალური გეგმის შემუშავება აუცილებელია პროფესიული სტუდენტის ინტერესების დასაცავად და მისთვის სწავლის თანაბარი პირობების შესაქმნელად. დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ეტაპები და პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტის აკადემიურ ისტორია, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. პროცესში ჩართული არიან პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე საჭიროების შემთხვევაში — სტუდენტი და/ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტზე მორგებულ სწავლების პროცესს, ხელს უწყობს განათლების ხელმისაწვდომობას და წარმოადგენს კოლეჯის ინკლუზიური და თანასწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის მნიშვნელოვან მექანიზმს.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან /თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო/სასწავლო გარემოში. კოლეჯის საკუთრებაში არსებული სასწავლო-საწვრთნელი გემი, სამაშველო კანჯო და სწრაფმავალი კატარღა იძლევა რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. კოლეჯს ასევე აქვს გემის იმიტატორი.

დაწესებულებას წყალში ხტომის პრაქტიკული მეცადინეობისათვის თავის კუთვნილ გემზე მოწყობილი აქვს შესაბამისი ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს აღნიშნულ წვრთნაზე საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აღიარება, რაც ადასტურებს რომ ის უსაფრთხოა წვრთნების ჩატარებისთვის. გარდა აღნიშნულისა დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება კოლეჯ „ეკვატორთან“ მის მფლობელობაში არსებული აუზის გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საცურაო აუზი, პრაქტიკული მეცადინეობისათვის, უზრუნველყოფს ერთდროულად 24 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ხანძართან ბრძოლის პრაქტიკული წვრთნის გარემო“ (C ტიპის გარემო), რომელიც აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნული სახანძრო ტრენაჟორი წარმოადგენს გემის მოდელის ტრენაჟორს აღჭურვილი შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, როგორიცაა ქაფის სისტემა, წყლის სისტემა, გააჩნია პორტაბელური სხვადასხვა სახის ცეცხლმაქრები, ასევე კვამლისა და თავად ხანძრის იმიტაციის შესაძლებლობით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის „საზღვაო პრაქტიკის“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას თავის მფლობელობაში გააჩნია საწვრთნელი გემი “კაპიტანი ო. ჩახვაძე“ გემი რეგისტრირებულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, მასზე გაცემულია და არსებობს ვალიდური სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, სადაც აღნიშნულია რომ გემს შეუძლია მიიღოს ერთდროულად 54 პერსონა ეკიპაჟის წევრებს გარდა. გემის ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა, რომ გემი არის გამართულ მდგომარეობაში, და მასზე არის შესაბამისი სივრცე აღნიშნული რაოდენობის სტუდენტების მისაღებად. დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცხრილები საზღვაო პრაქტიკის კომპონენტის გავლისათვის. წარმოდგენილი ცხრილების მიხედვით, დაწესებულებას პრაქტიკის გატარება დაგეგმილი აქვს 4 ცვლად 24 კაციანი ჯგუფებით.

გარდა ამისა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან: შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“. აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთი წლის განმავლობაში 50 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის გავლას თავის მფლობელობაში არსებულ 10 გემზე, რომელიც სავსებით საკმარისია.

შესაბამისად, დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას. შვიდდღიანი სასწავლო გრაფიკის ფარგლებში, ორ ცვლიან რეჟიმში, შესაძლებელი ხდება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის — 144 პროფესიული სტუდენტის — ერთდროულად მომსახურება.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ: კოლეჯი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას როგორც თეორიული სწავლების, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების პროცესში. უსაფრთხო სამუშაო გარემო წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც უზრუნველყოფს როგორც პროფესიულ სტუდენტთა, ისე პ.გ. მასწავლებელთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას. დაწესებულებაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი რეგულაციები, ასევე კომპიუტერთან უსაფრთხო მუშაობის წესები, რომლებიც სავალდებულოა ყველა პროფესიული სტუდენტისა და თანამშრომლისთვის. აღნიშნული დოკუმენტები ასახული და გამოკრულია სასწავლო სივრცეებში თვალსაჩინო ადგილას, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და წესების ყოველდღიურ პრაქტიკაში ინტეგრირებას. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სისტემატურ ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის — საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, პირველი დახმარების, ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხო ექსპლუატაციისა და სამუშაო გარემოს წესების დაცვის მიმართულებით. აღნიშნული ინსტრუქტაჟები ტარდება როგორც სწავლების დასაწყისში, ისე პერიოდულად სასწავლო წლის განმავლობაში. ინსტრუქტაჟების მიზანია, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა შეძლონ უსაფრთხოების ნორმების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რეალურ სამუშაო გარემოში რისკების თავიდან აცილება და საკუთარი და სხვისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დაცული და უსაფრთხო სასწავლო გარემო წარმოადგენს კოლეჯის პირად პასუხისმგებლობასა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განუყოფელ ნაწილს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სტაბილურობასა და ჯანმრთელ, უსაფრთხო საგანმანათლებლო სივრცეს.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საწარმოო პრაქტიკის განხორციელების დებულება
- გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მართვის დებულება, რომელიც სრულად მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლების შედეგების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, დამტკიცების, დანერგვისა და გამოყენების პროცედურები, ასევე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ფორმები და პირობები. აღნიშნული დებულება მოიცავს შეფასების სისტემის ყველა მნიშვნელოვან კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შექმნისა და შიდა დამტკიცების პროცედურებს; შეფასების პროცესის ადმინისტრირების წესს; პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ფორმებს შეფასების კრიტერიუმებისა და შედეგების შესახებ; აპელაციის პროცედურას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვას; განმეორებითი შეფასების ჩატარების წესსა და პირობებს; შეფასების მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის მექანიზმებს. დოკუმენტი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და სამართლიანობას, რაც წარმოადგენს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ხასიათდება მაღალი ხარისხის ვალიდურობით, სანდოობით, გამჭვირვალობითა და ობიექტურობით. შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ სასწავლო შედეგების მიღწევის დადასტურებაზე, არამედ სტუდენტთა ინდივიდუალური პროგრესის შეფასებაზე, რაც ხელს უწყობს მათ მოტივაციასა და უწყვეტ განვითარებას. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ ყველა შეფასება განხორციელდეს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მტკიცებულებებზე დაყრდნობით და სტუდენტების თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვით. შეფასების შედეგები გამოიყენება სწავლების პროცესის გაუმჯობესების, სწავლის მეთოდების გადახედვისა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები, რომელთა მიზანია შეფასების პრაქტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფა დადგენილ სტანდარტებთან და ხარისხის მართვის პრინციპებთან. ვერიფიკაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ხელს უწყობს შეფასების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებასა და შედეგების სანდოობას. ვერიფიკაციის პროცესი ორგანიზებულია ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, რომელიც კოორდინაციას უწევს პროცესის დაგეგმვას, განხორციელებასა და შედეგების შეჯამებას. საჭიროების შემთხვევაში პროცესში ჩართულნი არიან სხვა სპეციალისტები — განათლების, შეფასებისა და დარგის ექსპერტები, ასევე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობასა და პროფესიულ საფუძველს. ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა დგინდება და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს პროცედურის სამართლებრივ საფუძველს, ორგანიზებულობასა და პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას. ვერიფიკაციის ჯგუფის საქმიანობის შედეგები ასახულია ანგარიშში, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნული ანგარიშები გამოიყენება როგორც შიდა ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი, ისე გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი პროგრამის, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯი პრაქტიკაში რეგულარულად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების გადახედვასა და განახლებას ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობასა და სანდოობას, ზრდის მათი გამოყენების ეფექტიანობას და აძლიერებს სტუდენტთა სწავლების შედეგების შეფასების ხარისხს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის გარანტს და აძლიერებს კოლეჯის ხარისხის მართვის სისტემის მდგრადობასა და შედეგზე ორიენტირებულობას.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ:კოლეჯი მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული უწყისების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ: კოლეჯი, განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად, აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის პროგრესის, ინდივიდუალური განვითარების და პროფესიული ზრდის პროცესზე. აღნიშნული მიდგომა ემყარება არა მხოლოდ ქულათა მინიჭებას, არამედ შედეგების ანალიზს, განმასახიერებელ უკუკავშირსა და მიზანმიმართულ რეკომენდაციებს, რაც პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას შეაფასონ საკუთარი მიღწევები, გააცნობიერონ განვითარების საჭიროებები და დაგეგმონ შემდგომი ნაბიჯები. განმავითარებელი შეფასება აღიქმება როგორც სწავლების პროცესის ინტეგრირებული ნაწილი და არ შემოიფარგლება მხოლოდ საბოლოო შედეგის დაფიქსირებით. იგი ხელს უწყობს სტუდენტთა თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბებას, პასუხისმგებლობის გაზრდას და სწავლების პროცესში აქტიურ ჩართულობას.შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას შედეგების განხილვასა და ანალიზში. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის რეალურ რეფლექსიას და შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს კორექტირება — შეიცვალოს სწავლების მეთოდები, გადაიხედოს შეფასების ელემენტები ან დაინიცირდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამგვარად, შეფასება კოლეჯში აღიქმება არა მხოლოდ როგორც სწავლების შედეგების დადგენის ინსტრუმენტი, არამედ როგორც განვითარების, მხარდაჭერისა და მოტივაციის მექანიზმი. კოლეჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უწყვეტ როფესიული სტუდენტების უწყვეტ პროფესიულ ზრდას, თვითშეფასების კულტურის ჩამოყალიბებას და მათ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოს გამოწვევებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გასაუბრებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.
- ვიზუალური დათვალიერებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

13.02.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: